04.12.2023წ.საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის N14

დანართი N1.

„მუსიკის თეორია

1. სოლფეჯიო

აბიტურიენტმა კარნახი და სმენითი ანალიზი უნდა ჩაწეროს აუდიო ჩანაწერის (ფორტეპიანოზე შესრულებულის) მიხედვით
კარნახი (ჩაწერის დრო - 0,5 ასტრონომიული საათი): აბიტურიენტმა უნდა ჩაწეროს სამხმიანი კარნახი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საშუალო რგოლში სოლფეჯიოს კურსის პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნები (8 ტაქტი, ერთტონალური, მეტწილად აკორდული ფაქტურის, ზომაში 2/4, ან 3/4, ან 4/4, ტონალობაში, რომელიც შეიცავს არაუმეტეს 3 საგასაღებო ნიშანს).

სმენითი ანალიზი:

1. კილო: მაჟორი და მინორი (ბუნებრივი, ჰარმონიული, მელოდიური, ორმაგად ჰარმონიული); მაჟორული და მინორული პენტატონიკა; დიატონური კილოები (მიქსოლიდიური, ლიდიური, ფრიგიული, დორიული), მთელტონიანი, შემცირებული (გამოცდაზე შესრულდება 5 კილო, თითოეული დაიკვრება 2-ჯერ)
2. ინტერვალი - ყველა წმინდა, დიდი და პატარა (მარტივი და შედგენილი); გადიდებული და შემცირებული (+4; -5; -4; +5; +2; -7; -3; +6) გადაწყვეტით; (გამოცდაზე შესრულდება 5 ინტერვალი, თითოეული დაიკვრება 2-ჯერ)
3. აკორდი (მჭიდრო და ფართო განლაგებით):
სამხმოვანება - მაჟორული, მინორული და შემცირებული შებრუნებებით, გადიდებული მხოლოდ ძირითადი სახის. სეპტაკორდი - მცირე მაჟორული, მცირე მინორული, მცირე შემცირებული, შებრუნებებით, შემცირებული, მცირე მაჟორული სეპტაკორდი სექსტით (მაჟორში). ნონაკორდი - მაჟორული, დიდი და პატარა.
აკორდები იკვრება გადაწყვეტის გარეშე
(გამოცდაზე შესრულდება 5 აკორდი, თითოეული დაიკვრება 2-ჯერ).
4. ერთტონალური აკორდული თანმიმდევრობა (შედგენილი), რომელშიც შევა ჰარმონიის კურსის პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები (აკორდების სავარაუდო რაოდენობა - 10-12). (იკვრება 3-ჯერ)

2. ტესტი მუსიკის თეორიის საკითხებში (მუშაობის დრო - 2 ასტრონომიული საათი).
ა) მელოდიის ჰარმონიზაცია (8 ტაქტი);
ბ) ჰარმონიული ანალიზი: აბიტურიენტს საანალიზოდ ეძლევა ერთი ნიმუში მხატვრული ლიტერატურიდან, დაწერილი პერიოდის, მარტივი ორ ან სამნაწილიანი ფორმით. ანალიზის პროცესში აბიტურიენტმა უნდა განსაზღვროს ნიმუშის: ფორმა, ტონალური გეგმა, მოდულაციის სახეები და ხერხები.